გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 1
(11 560)

4 - 10 იანვარი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




# 1991 - 2001



## ათწლეულის რჩეულნი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და ფირმა „ვერიტამ“ მოაწყვეს სპორტის გულშემატკივართა საყოველთაო გამოკითხვა ბოლო ათწლეულში საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების და გუნდის გამოსავლენად. გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. ამ ღონისძიების გენერალური სპონსორი იყო კომპანია „მაგთი ჯი ეს ემი“.

ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ:
ძიუდოში – **დავით ხახალეიშვილი**,
თავისუფალ ჭიდაობაში – **ლერი ხაბელოვი**,
ფეხბურთში – **შოთა არველაძე**,
ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში – **მუხრან ვახტანგაძე**,
რაგბში – **ლევან ცაბაძე**
ძალოსნობაში – **გიორგი ასანიძე**,
ხელბურთში – **ტიტე კალანდაძე**,
კალათბურთში – **ვლადიმერ სტეფანია**,
ჭადრაკში – **მაია ჩიბურდანიძე**,
კრივში – **გიორგი კანდელაკი**,
სამბოში – **ვანო გამხიტაშვილი** (1973-1999),
მკლავჭიდში – **ზაურ ცხადაძე**.
ათწლეულის საუკეთესო გუნდად დაასახელეს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები („ბორჯღალოსნები“). საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულია **კლოდ სორელი** (რაგბი).

# 2001 სპორტული წლის ლაურეატები

პრესის, ტელერადიოს და საინფორმაციო სააგენტოების 61 ჟურნალისტი მონაწილეობდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში, რომელმაც გამოავლინა საქართველოს 2001 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი, საუკეთესო გუნდი და მწვრთნელი.

ანკეტებში სულ დასახელდა 38 სპორტსმენი – სპორტის 15 სახეობის წარმომადგენელი. საქართველოს წლის უძლიერეს სპორტსმენად 597 ქულით აღიარებულია საჩხერელი ძალოსანი **გიორგი ასანიძე**, რომელმაც წლეულს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გაიმარჯვა.


გიორგი ასანიძე

550 ქულით მეორეა ბათუმელი ფალავანი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი **მუხრან ვახტანგაძე**. მესამე ადგილზეა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მორკინალი **ლევან ცაბაძე** (354 ქულა).

მომდევნო ადგილები ასე განაწილდა:
4. **ზურაბ ზვიადაური** (ძიუდო) – 317
5. **ალექსანდრე დოხტურიშვილი** (ბ./რ. ჭიდაობა) – 254
6. **დავით პოლოსიანი** (თავისუფალი ჭიდაობა) – 242
7. **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა) – 213
8. **კახი კალაძე** (ფეხბურთი) – 104
9. **დავით მარგოშვილი** (ძიუდო) – 76
10. **ზაზა ფაჩულია** (კალათბურთი) – 64

წლის საუკეთესო გუნდად დასახელებულია საქართველოს **მორაგბეთა ეროვნული ნაკრები** – ევროპის ეროვნებათა თასის მფლობელი. საუკეთესო მწვრთნელად – ამავე ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლოდ სორელი**.








შ. არველაძე


მ. ჩიბურდანიძე






მ. ვახტანგაძე










მორაგბეთა ნაკრები

## წლები და ლაურეატები

**სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვა** 1964 წლიდან ეწყობა. სხვადასხვა წლებში საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ: სლავა მეტრეველი (1964), ომარ ფხაკაძე (1965), ალექსანდრე მეტრეველი (1966), ზურაბ საკანდელიძე (1967), ვიქტორ სანეევი (1968, 1972, 1976), ნონა გაფრინდაშვილი (1969, 1979), თინათინ ლეკვეიშვილი (1970), ლევან თედიაშვილი (1971, 1973, 1974), დავით კვაჭაძე (1977), მაია ჩიბურდანიძე (1978, 1984, 1986), თემურ ხუბულური (1979), ქეთევან ლოსაბერიძე (1980), რამაზ შენგელია (1981), მოჭადრაკე ქალთა ნაკრები – მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი (1982), თეიმურაზ აფხაზავა (1983), დავით გობეჯიშვილი (1975, 1990), ლერი ხაბელოვი (1987), ნინო სალუქვაძე (1988, 1999), კახი კახიაშვილი (1992, 1993), მოჭადრაკე ქალთა ნაკრები – მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ნინო გურიელი (1994), გიორგი ვაზაგაშვილი (1995), ელდარ კურტანიძე (1996), გიორგი კანდელაკი (1997), გიორგი ასანიძე (1998, 2000).

1989 და 1991 წლებში რეფერენდუმი არ გამართულა.

## რედაქტორის სვეტი

# მონატრებული ემოცია

ემოცია სიყვარულიცაა, სიძულვილიც, სიხარულიც, წუხილიც, შიშიც, ჯავრიც... ჩვენს ყოფაში ბოლო ათწლეულში ეს ყველაფერი განვიცადეთ, თუმცა თავი ჯერ კიდევ ვერ დაგვიღწევია იმ ემოციებისგან, რომელიც უარყოფითი მუხტის მატარებელია საბედნიეროდ შიგადაშიგ, სასიამოვნო განცდების ადმძვრელი რეალობა მაინც გამოკრთება ხოლმე და ყველას ერთად გვეუფლება სიხარულის ემოცია. საყოველთაო აღტაცების მომგვრელი იმაზე უფრო ეფექტური რამ, ვიდრე სპორტია, ბუნებაში არ არსებობს. ერს არაფერი ამაღლებს და აამაყებს სულიერად, როგორც სპორტში წარმატება. ჩვენ იმ ბედნიერ ერთა რიცხვს ვეკუთვნით, ვისაც არაერთგზის განუცდია ეს საყოველთაო აღფრთოვანება.

ამ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შედგა დამოუკიდებელი საქართველოს ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა ბენეფისი. ამ სტრიქონების დასაწერად სწორედ იქ ნანახმა ერთმა კადრმა მიბიძგა. ემოცია, ზოგჯერ ადამიანს თავსაც დაავიწყებს, არა თუ თანამდებობას. ხომ გვინახავს ფეხბურთის მატჩებში, ძირითადად მსოფლიოს ჩემპიონატებზე, როგორ ვერ თოკავენ ემოციებს ქვეყნების პრეზიდენტები, სხვებზე აღარაფერს ვამბობთ. ვინც იმ საღამოს, ათწლეულის რჩეულ სპორტსმენთა დაჯილდოებისას, ეკრანზე მუხრან ვახტანგაძის მიერ მსოფლიოს ჩემპიონის წოდების მოპოვებისას ჩვენი სპორტის მესაჭის ირაკლი მეძმარიაშვილის განცდა იხილა, დაგვეთანხმება, რომ წამის იმ აპოთეოზში, თითოეულ ჩვენგანს, იგივე განცდა დაეუფლებოდა, იქ რომ ყოფილიყო.

ნებისმიერ სასიხარულო ემოციას თავისი წონა და ფასი აქვს, მით უფრო, თუ იგი მონატრებულია. 14 წელიწადი ველოდით ფალავანთა სამშობლოში ახალ მსოფლიო ჩემპიონს ჭიდაობაში. განა ეს საკმარისი არ იყო მონატრებული და თავდავიწყების მომგვრელი ემოციისთვის?

შთაგონება ხშირად ბიძგიდან იბადება. სწორედ ეს ბიძგი მისცა ქართულ სპორტს, 2001 წელს ჯერ გიორგი ასანიძემ, შემდეგ – მუხრან ვახტანგაძემ. ბრუნდება რწმენა, რომ საქართველოს ათლეტები კვლავ დაიპყრობენ უმაღლეს სპორტულ მწვერვალებს, ე.ი. არაერთი სასიხარულო ემოცია გახდება ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი და მონატრებ , რომელიც ჩვეულებრივ დროსთან და მოლოდინთან ასოცირდება, სულს აღარ დაგვიმძიმებს.

## მადლობა მოლოცვებისთვის

„ლელოს“ რედაქციამ შობა-ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, მრავალი მოლოცვა მიიღო სპორტული ორგანიზაციებიდან, სპორტსმენებიდან და სპორტის მუშაკებისგან, გაზეთების რედაქციებიდან, გულშემატკივრებისგან. ყველას ულრმეს მადლობას მოვახსენებთ გულწრფელი მოლოცვებისთვის.

ჩვენც იმასვე ვისურვებდით, ყველასთვის, რითაც შობა-ახალი წელი გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ დაგვილოცა: „გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს, გამარჯვებულ და დამშვიდებულ საქართველოს.“

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 7 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 35 დღე გვაშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

## სპორტში მოპოვებული გამარჯვება და წარმატება საბრძოლო გამარჯვებაა

30 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიო ჩემპიონს ძალოსნობაში გიორგი ასანიძესა და მსოფლიო ჩემპიონსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძეს უმაღლესი საბრძოლო ორდენები გადასცა.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საერთაშორისო სარბიელზე უმაღლესი სპორტული მაჩვენებლების მიღწევისას გამოვლენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ბრძოლისუნარიანობისათვის გიორგი ასანიძე დაჯილდოვდა მეორე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით. მუხრან ვახტანგაძე – მესამე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა მსოფლიო ჩემპიონებს ეს აღიარება და დამდეგი შობა-ახალი წელი. „თქვენთვის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვახერხებ იდეალური პირობების შექმნას, რაც ასეთი სიმაღლეების დაპყრობას სჭირდება. მაგრამ თქვენ თითქმის შეუძლებელი შეძელით ისევე, როგორც ზოგიერთმა თქვენმა კოლეგამ“, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. ქვეყნის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ჩემპიონებს გმირობისათვის, ვაჟკაცობისათვის და იმ თავდადებისათვის, რაც მათ თავიანთი სამშობლოს სახელისათვის გააკეთეს. „ვახტანგ გორგასლის ორდენი, ფაქტობრივად, საბრძოლო დამსახურებისათვის არის დაწესებული. – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. – მიმაჩნია, რომ მსოფლიო ასპარეზზე სპორტში მოპოვებული გამარჯვება და წარმატება საბრძოლო გამარჯვებაა. ეს არის ბრძოლა საკუთარი სახელისათვის. ბრძოლა სამშობლოს ინტერესებისათვის, სამშობლოს სადიდებლად“.

საქინფორმი

## 2001 წელი საშობაო ტურნირით დაასრულეს

მაისში, ქ. ოდესა გოჯუ-რიუ კარატეში უმასპინძლებს დიდ საერთაშორისო ტურნირს. ამ ასპარეზობისთვის საქართველოს ნაკრების შესარჩევად, სპორტის ამ სახეობის ფედერაციამ (პრეზიდენტი მერაბ ტურაშვილი) ჩაატარა ტრადიციული საშობაო ტურნირი, რომელშიაც მონაწილეობდნენ წარმომადგენლები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

სპეციალისტების აზრით, ჩვენმა კარატისტებმა გამოამჟღავნეს მომზადების მაღალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ჯერ მოზარდია, სარბიელზე მათ წარმოადგინეს ურთულესი ტექნიკური ილეთები, რითაც აღფრთოვანებაში მოიყვანეს მაყურებლები.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ბესიკ ტურაშვილმა „ლელოს“ კორესპონდენტს უთხრა, რომ მომზადების ხარისხით ჩვენი სპორტსმენები არავის ჩამოუვარდებიან და საერთაშორისო ასპარეზზე იბრძოლებენ მხოლოდ მაღალი შედეგებისთვის.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 1994-95 წლიანები:*** 1. სურენ ეგიზარიანი, 2. უშანგი გურგენიძე, 3. ცოტნე გოგრიჭიანი; ***1992-93 წლიანები:*** 1. არტიომ პარუნოვი, 2. გიორგი გვრიტიშვილი, 3. ედვარდ ჩატოევი; ***1990-91 წლიანები: მსუბუქი, -35 კგ:*** 1. გიორგი პეტრიაშვილი, 2. გიორგი ფილფანი, 3. ვახტანგ მუჩიაშვილი; ***1988წ-89 წლიანები: მსუბუქი, -45 კგ:*** 1. კარენ თუმანოვი, 2. ზურაბ აბულაძე, 3. გიორგი მინასიანი, ***მძიმე,+45 კგ:*** 1. გიორგი ტერიშვილი, 2. არტურ ნიკოგოსოვი, 3. ავეტის აკოფოვი; ***1986-87 წლიანები. მსუბუქი, — 55 კგ:*** 1. ვახტანგ ბიწაძე, 2. მარიკა ხოსტოიანი, 3. დავით ა ბეგოვი, ***მძიმე+55 კგ:*** 1. ავთანდილ ჯიქია, 2. გიორგი კაჭკაჭიშვილი, 3. დათო ფანოზიშვილი; ***1984-1985 წლიანები. აბსოლუტური:*** 1. ზვიად ჭრიკაშვილი, 2. კახა ოდიკაძე, 3. არტურ დავიდოვი; ***1982-83 წლიანები. აბსოლუტური:*** 1. ვახტანგ ენდელაძე, 2. დათო ბეგიაშვილი, 3. ნიკა გრატიაშვილი; ***გოგონები (აბსოლუტური):*** 1. ია გიქორაშვილი, 2. სალომე მახათაძე, 3. დიანა მეხაშიშვილი.

ნინო ძავთარაძე

*სურათებზე: გდებას ასრულებს დათო ათაბეგოვი; შეჯიბრების ორგანიზატორები: მამა-შვილი მერაბ და ბესიკ ტურაშვილები.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*





## კვლავაც აღიმართება საქართველოს დროშა

**ფეხბედნიერი გამოდგა XXI საუკუნის პირველი წელიწადი ქართული სპორტისათვის. ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, ჩვენმა ათლეტებმა 125 სპორტულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებსა თუ პირველობებზე. თასების გათამაშებებზე სულ მოპოვებულია 131 მედალი (36 ოქროსი, 38 ვერცხლისა და 57 ბრინჯაოსი), რაც 22 მედლით სჭარბობს 2000 წლის მონაგარს. საგულისხმოა ისიც, რომ ოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებმა (დიდები და ახალგაზრდები) 58 მედალი მოიხვეჭეს საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის — 17 ოქროს ჯილდო.**



**გვესაუბრება საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, რომელიც თავად იყო თვითმხილველი საქართველოს სპორტსმენთა უმეტესი გამარჯვებებისა საერთაშორისო სარბიელზე.**

— სასიამოვნოა და სასიხარულოც, რომ შარანდელი წელი წარმატებით ჩავამთავრეთ. — მითხრა ბატონმა ირაკლიმ. — თავისუფლების მოპოვებიდან XX საუკუნის მიწურულამდე მხოლოდ ერთი მსოფლიო ჩემპიონი გვყავდა — გიორგი კანდელაკი. შარშან კი ერთბაშად ორი სპორტსმენი — ძალოსანი გიორგი ასანიძე და მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძე — ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ანტალიისა და პატრას მსოფლიო ჩემპიონატებზე. ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურეს გიორგი ასანიძემ, მოჭიდავეებმა — ელდარ კურტანიძემ და ალექსანდრე დოხტურიშვილმა. ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი ერგო ზურაბ ზვიადაურს, ხოლო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე იყო დავით პოღოსიანი. წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო და ევროპის პირველობებზე ომარ ბაკურაძემ, გენადი გოგიაშვილმა, ზვიად სისაურმა, ლევან ღვამიჩავამ, რევაზ დევაძემ, ამირან ელბაქიძემ, ბესარიონ გუჩაშვილმა და სხვა ახალგაზრდა სპორტსმენებმა, რაც სამომავლოდ იმედიანად განგვაწყობს.

შარშანდელი წარმატებეიდან განსაკუთრებულად აღსანიშნავია საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მიერ ევროპის ეროვნებათა თასის მოპოვება. საგულისხმოა ისიც, რომ ახალგაზრდა მორაგბეებმა მსოფლიო პირველობის „ა“ ჯგუფში გადაინაცვლეს და წლეულს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ჩინებული ცვლა ეზრდებათ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეებს. დასტურად მათ მიერ შარშან ესპანეთში მოხვეჭილი ოთხი ოქროს მედალიც კმარა.

● ***ცხადია, ყოველივე ეს იმ მცირე დაფინანსების ფონზე, რაც სახელმწიფომ შარშან სპორტისთვის შეძლო, გმირობის ტოლფასია.***

— გეთანხმებით, თუმცა, ერთიც მინდა ვთქვა. მესმის, რომ სახელმწიფოს უჭირს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია სპორტისთვის გამოყოფილი თანხების ყოველწლიურად მკვეთრი კლებადობა. მაგალითად, 1998 წელს ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარი გვერგო, 2000 წელს — 4 მილიონი, შარშან — 2 მილიონი, წლეულს კი 1,9 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ეს მაშინ, როცა სხვა უწყებებს, დაფინანსება ეზრდებათ. არადა, რომ არაფერი ვთქვათ სხვა შეჯიბრებებზე, სოლტ-ლეიკ-სიტისა და სლოვენიაში წლეულს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებსა და საჭადრაკო ოლიმპიადაზე მოგვიწევს გამგზავრება.

● ***უცხოელექსპერტთაგათვლით, საქართველოში ყოველწლიურად 1,5 მილიარდი დოლარი იხარჯება თურმე... ნარკოტიკებზე. უმეტესი წილი, ცხადია, ახალგაზრდებზე მოდის. რით უნდა აღვუდგეთ წინ ამ სენს? ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება — ეს არის ჯანსაღი ცხოვრების წესი, სპორტში მოზარდი თაობის მასობრივად ჩაბმა, რითაც ყმაწვილებს ქუჩას მოვწყვეტთ.***

— საზღვარგარეთის ცივილიზებულ ქვეყნებში ბავშვთა სპორტისთვის მილიონები იხარჯება და არა მხოლოდ მომავალი ჩემპიონების მოსამზადებლად. ისინი თავიანთ გენოფონდს უფრთხილდებიან. ჯანმაგარი თაობის აღზრდაზე ზრუნავენ. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ბავშვთა სპორტს ნაკლები ყურადღება ექცევა.

● ***შარშანთქვენმადეპარტამენტმა განათლების სამინისტროსთან ერთად მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშები გამართა...***

— ეს იყო ჩინებული ღონისძიება. სპორტის 26 სახეობაში ათასობით ნორჩმა სპორტსმენმა იასპარეზა. დარწმუნებული ვარ, მათ შორის ბევრს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში აუცილებლად ვიხილავთ, ოღონდ, ყოველივეს ფინანსური ხელშეწყობა სჭირდება. ფიზაღზრდის მასწავლებელს, მწვრთნელს თვეობით ხელფასს რომ ვერ გადაუხდი, როგორი სპორტსმენი უნდა გაზარდოს მან? თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ დღემდე მაინც ენთუზიასტთა იმედად ვართ. დიდი მადლობა მათ....

● ***სპორტი, მოგეხსენებათ, უცხოეთში მომგებიანია და თავს ძირითადად იმით ირჩენს.***

— განვითარებულ ქვეყნებზე არაფერს ვიტყვი. პოსტსაბჭოურ სივრცეს გადავხედოთ. ნახეთ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რა დონის სპორტულ შეჯიბრებებს მასპინძლობენ, ჩვენ კი ერთი სპორტის სასახლე ვერ გაგვითბია. აი, ახლა, იანვარში, საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის 3 შესარჩევი მატჩი აქვს შინ სათამაშო. 19 იანვარს კი ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს უნდა ვუმასპინძლოთ. ასპარეზობათა გამართვის უფლებაც რომ დაგვრთონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გაყინულ დარბაზში ვინ მოვა საყურებლად. ცხადია, შემოსავალიც არ იქნება. ამგვარ პირობებში სპორტი მომგებიანი ვერასდროს გახდება. ბავშვს ჯერ ფეხზე დგომა უნდა ვასწავლოთ და ხელი მერე გავუშვათ.

● ***შარშანსხვადასხვა შეჯიბრებაზე საქართველოდან წასულმა რამდენიმე სპორტსმენმა საკმაო „ოქრო-ვერცხლი“ მოუხვეჭა უცხო ქვეყნებს. ჩვენს ეკონომიკურ პირობებში, ალბათ, კიდევ ბევრ სპორტსმენს მოვისაკლისებთ.***

— ძალით ვერავის დააკავებ. არც ვაპირებთ. ოღონდ, თავის ნებაზე ვერავის გავუშვებთ. კახი კახიაშვილის გადაბირებისათვის, როგორც ეს ფეხბურთშია, საბერძნეთის მხარემ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას სპორტსმენის აღზრდისა და მომზადებისთვის სათანადო კომპენსაცია გადაუხადა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა. ამიერიდან სატრანსფერო თანხის გადაუხდელად გათავისუფლების ფურცელს ვერავის მივცემთ. სპორტსმენის აღმზრდელმა მწვრთნელმა, ფედერაციამ თავისი საზღაური უნდა მიიღოს.

● ***ამ საახალწლოდ ცოტა პესიმისტური ინტერვიუ ხომ არ გამოგვივიდა?***

— სრულებითაც არა. თავშივე სჯობია სიმართლის თქმა. ზემოთ აღნიშნული სიძნელეების მიუხედავად, იმედიანად ვართ. ოპტიმიზმის საფუძველს მხოლოდ შარშანდელი წარმატებები როდი მაძლევს. რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო მინისტრთან ვიყავი თათბირზე. ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ ყველას გასაგონად მკითხა, სპორტს რა პრობლემები აწუხებსო. მართალი გითხრათ, მესიამოვნა უმაღლესი თანამდებობის პირისგან სპორტით ასეთი დაინტერესება. ეს ხომ უკვე თანადგომას ნიშნავს. საერთოდაც, დიდი იმედი მაქვს სახელმწიფო მინისტრისა. ბატონ ავთანდილთან ერთად სხვა დროსაც, როცა იგი ჯანდაცვის მინისტრი იყო, წარმატებით დაგვიძლევია არაერთი პრობლემა. მან იცის სპორტის ყადრი. მჯერა, რომ ქვეყანა მოიხედავს სპორტისკენ და მაშინ წარმატებებიც იმრავლებს, მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებზე მრავალგზის აჟღერდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და სამფეროვანი ქართული დროშაც აღიმართება ჩვენი ათლეტების გამარჯვებათა აღსანიშნავად.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შობა-ახალი წლის ბრწყინვალე დღესასწაულები მივულოცო ჩვენს სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ქართველ ერს, სრულიად საქართველოს.

ესაუბრა
ვაჟა დანელია
„საქართველოს რესპუბლიკა“,
№1-2, 2002 წ.

## კახიაშვილის პრიზზე

ქუთაისში დასრულდა ძალოსანთა მეორე ტრადიციული ტურნირი ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის პრიზზე. ასპარეზობაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილეობდა 45 ათლეტი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან: ზურაბ მოდებაძე (56 კგ), თემურ ლომთაძე (62), გელა სიხარულიძე (69, სამივე — ქუთაისი), დავით პავლიაშვილი (77; თბილისი), გელა ბაზაძე (85; საჩხერე), გიორგი სარავა (94; ქუთაისი), ზურაბ ავთანდილაშვილი (105; თბილისი), გიორგი კობალაძე (+105; მცხეთა).

„ლელოს“ საკ. კორ., ქუთაისი



*სურათზე: გელა ბაზაძე.*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო.*



# „ბენდელას“ თასი საბურთალოზე დაბინავდა



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ძირითად ტურნირში გამარჯვებული „საბურთალო“

ჩინებულ, საზეიმო ვითარებაში დასრულდა [illegible] ტრადიციული, საიუბილეო X გათამაშება. ფინალურმა [illegible] გარემოს შესაფერისად საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. [illegible] ტურნირი მოიგო „ირაოს“ პირველმა გუნდმა, მათ პენალტების [illegible], უშელავათო [illegible] დაამარცხეს „შევარდენი“. [illegible] ადგილი ბათუმის „დინამოს“ ერგო. ზღვისპირელებმა „[illegible]“ აჯობეს. ძირითად ტურნირში [illegible] მალჩენი [illegible]. უმეღლოდ დარჩა გათამაშების ფავორიტი ქუთაისის „ტორპედო“. ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა მესამე ადგილი პენალტების სერიაში დაუთმო „შევარდენს“.



გარდამავალ თასს კი ტურნირის, მართლაც საუკეთესო გუნდი „საბურთალო“ დაეუფლა. ლევან ყიფიანისა და მალხაზ ლაცაბიძის შეგირდებმა ფინალური შეხვედრა მოუგეს „ბაასი-ლიდერს“. შეჯიბრების დასკვნითი დღე დაამშვენა ვეტერანი ფეხბურთელებისა და ჟურნალისტების ამხანაგურმა პაექრობამ, მატჩი ფრედ — 3-3 დასრულდა.

დარიგდა მრავალი პრიზი და სამახსოვრო საჩუქარი. ლაურეატები გახდნენ როგორც ორგანიზატორები, მსაჯები, მწვრთნელები, ისე, რა თქმა უნდა, ფეხბურთელები. ტურნირის ბომბარდირები 10-10 გოლით არიან დავით მუჯირი (საბურთალო), და სულიკო დავითაშვილი (შევარდენი). საუკეთესო მეკარის პრიზი მიიღო გიორგი ლომაიამ (საბურთალო). პერსპექტიული ფეხბურთელისა — გიორგი სეფერთელაძემ (ბაასი-ლიდერი), ტექნიკური ფეხბურთელისა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა — გიორგი ანჩაბაძემ (საბურთალო), ჯენტლმენისა — ბუბა ტყავაძემ (საბურთალო), ულამაზესი გოლისთვის დაჯილდოვდა გელა ქორიძე (საბურთალო). ყველაზე უმცროსი მონაწილის პრიზები მიიღეს ცომაიამ და ქუსრაშვილმა (ორივე — საბურთალო).


ბავშვთა ტურნირში გამარჯვებული გუნდი „ირაო-1“
რობერტ ბაგოიანის ფოტო

***ბავშვთა ტურნირი: მატჩი მესამე ადგილისათვის:***
„თბილისი“ — „დინამო“ (ბათუმი) 2-3.

***მატჩი პირველი ადგილისათვის:***
„ირაო“1 — „შევარდენი“ 2-2 (პ 3-1).

***ძირითადი ტურნირი — მატჩი მესამე ადგილისათვის:***
„ტორპედო“ — „შევარდენი“ 4-4 (პ 4-5)

***ფინალი:*** საბურთალო — ბაასი-ლიდერი 4-2.


ქ. გოგიჩაიშვილს თასს გადასცემს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ლ. კახაძე
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

# ცოდნის სურვილით გამოცდებზე

არდადეგების მიუხედავად, საფეხბურთო ცხოვრება არ წყდება, ის ისევ ბობოქარი და მჩქეფარეა. რამდენიმე დღეში ინტენსიურ წვრთნას შეუდგებიან გუნდები, თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან ლეგიონერები. მწვრთნელთა გარკვეული ნაწილი კი საახალწლო განწყობით მიუსხდება მერხებს და კონსპექტებმომარჯვებულნი სალიცენზიო გამოცდებს ჩააბარებს.

საგამოცდო ციებ-ცხელების თაობაზე ორიოდე შეკითხვით მივმართეთ სფფ-ს მწვრთნელთა განათლების დირექტორს გაიოზ დარსაძეს.

● ***როგორც მუდმივმოქმედი სალიცენზიო კურსის ხელმძღვანელი, როგორ შეაფასებდით პირველი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მსვლელობას?***

— მწვრთნელებს ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივაწოდეთ. გავაცანით სიახლეები. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მათი მხრიდან ენთუზიაზმი და ცოდნის მიღების სურვილი იგრძნობოდა. თეორიას და პრაქტიკას საინტერესო დისკუსიები ენაცვლებოდა. მსმენელთა სწავლისკენ სწრაფვის გამომჟღავნებით კმაყოფილნი დარჩნენ კურსების ლექტორებიც, როგორც ჩვენი, ისე მოწვეული უცხოელი სპეციალისტები. თუ როგორ აითვისეს მწვრთნელებმა წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა, ამას გამოცდები გვაჩვენებს. კურსების მსვლელობის პი[illegible]ელად შედეგებზე სრულყოფილი ლაპარაკიც ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

● ***გამოცდები როდის დაიწყება და რა ფორმით წარიმართება?***

— გამოცდები სამ ნაწილად გაიყოფა. საგამოცდო კომისია 9 იანვარს წერით გამოცდას ჩაიბარებს, 11 იანვარს ზეპირს, სავარაუდოდ 17 იანვარს — პრაქტიკულს. კითხვარში 18 საკითხია. ყველა მსმენელი მინდა წინასწარ გავაფრთხილო, რომ გამოცდები ობიექტური და მკაცრი იქნება. შეღავათს ვერავის გავუწევთ. მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობებს კურსების შემდგომ პრესტიჟსაც და, უპირველესად, ჩვენი მწვრთნელების მომზადებისა და მიღებული ცოდნის საერთო დონეს. გამოცდების შემდეგ გაიცემა „ბ“ კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზია. მისი მფლობელი მიიღებს ბავშვთა და მოყვარულ გუნდებში მუშაობის უფლებას.


გაიოზ დარსაძე

სფფ-ს მწვრთნელთა განათლების სალიცენზიო მუდმივმოქმედი კურსები შემდგომშიც გაგრძელდება და ახალი სასწავლო და საგამოცდო პერიოდი 3-დან 28 ივნისამდე გასტანს.

საბა ლომინაძე

ქართული ფეხბურთის ოქროს ფონდი

# სიცოცხლე გრძელდება

ვიტალი დარასელიამ სულ რაღაც 25 წელი იცოცხლა. ნაადრევად წავიდა ჩვენგან და გული დაწყვიტა მილიონობით გულშემატკივარს.

ვიტალი იყო ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, წამოჩიტული იმ მადლიანი და ლამაზი კუთხიდან, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, იმ აფხაზეთიდან, საიდანაც დიდ ფეხბურთში მოვიდნენ ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, შოთა შავგულიძე, ამირან ტყებუჩავა, ვალტერ სანაია, ნიაზ ძიაპშიპა, ვოვა მარღანია, ანატოლი (გიგა) ნორაკიძე, იური კურტანიძე, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, გიორგი (ჟორა) სიჭინავა, თენგიზ ნორაკიძე, გოჩა გავაშელი, იური გრამატიკოპულო, გრიშა ცაავა, თემურ ქეცბაია, მურთაზ შელია და სხვები.


ქაბუკობა ლიგა (1985 წლიანები)

გათამაშების ცხრილი პირველი წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმერეთი (ქუთ) | 13 | 10 | 2 | 1 | 24-10 | 32 |
| განათლება (ქუთ) | 13 | 9 | 1 | 3 | 19-9 | 28 |
| ყაზბეგი (თბ) | 13 | 8 | 2 | 3 | 30-12 | 26 |
| დინამო (თბ) | 12 | 8 | 1 | 3 | 36-8 | 25 |
| მთვარის გლობ. (თბ) | 13 | 7 | 2 | 4 | 22-11 | 23 |
| დინამო (ბათ) | 12 | 5 | 4 | 3 | 16-12 | 19 |
| ბოლნისი | 13 | 5 | 3 | 5 | 29-21 | 18 |
| შევარდენი 1906 | 13 | 5 | 3 | 5 | 18-13 | 18 |
| დინამო (ზუგ) | 13 | 5 | 1 | 7 | 13-32 | 16 |
| გურია (ლანჩხ) | 13 | 3 | 5 | 5 | 13-23 | 14 |
| ეგრისი (სენაკი) | 13 | 4 | 1 | 8 | 15-26 | 13 |
| თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 19-30 | 11 |
| ორბი (გორი) | 13 | 2 | 1 | 10 | 13-37 | 7 |
| კახეთი (თელავი) | 13 | 1 | 2 | 10 | 6-29 | 5 |



მე-20 წელიწადია, რაც აღარ არის ვიტალი ჩვენს გვერდით — იმ საბედისწერო 1982 წლის 13 დეკემბერს, იგი საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა. 13 დღე-ღამის განმავლობაში ეძებდნენ მის ცხედარს გაყინულ ძირულაში.

1977 წელს გავიცანი ვიტალი, მას შემდეგ რაც ბედმა ოჩამჩირესთან დამაკავშირა (მეუღლე იქაური მყავს). თვითმხილველი ვარ იმ დიდი დამსახურებისა, რაც მას მიუძღვის ქართული ფეხბურთის აღმავლობაში, თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებებში და მაინც, ის ბედნიერი 13 მაისი, დიუსელდორფში ოჩამჩირელი ბიჭის მიერ გატანილი ოქროს გოლი — დაუვიწყარია და განუმეორებელი.

1981 წლის 13 მაისი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

1982 წლის 13 დეკემბერი მძიმე, ავადმოსაგონარი დღეა ქართული ფეხბურთისთვის.

30 დეკემბერს ზღვა ხალხი დაესწრო მის დაკრძალვას. მზიანი, თბილი ამინდი იყო ოჩამჩირეში. მეორე დღეს კი უეცრად ხვავრიელი თოვლი მოვიდა. მისი საფლავი და ყვავილების მთა თეთრად შეისუდრა.

ფეხბურთის თემაზე უამრავი წიგნის ავტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა დემიკო ლოლაძემ, სამი წიგნი უძღვნა ვიტალი დარასელიას ნათელ ხსოვნას.

„ვიტალი დარასელია“ (1983 წ.), „ვი-

იხ. მე-4 გვ.

# სიცოცხლე გრძელდება

(მესამე გვერდიდან)

ტალი დარასელიას და დიუსელდორფის გახსენება" (1999 წ) და „ვიტალი დარასელია" (მესამე შევსებული გამოცემა, 2001 წ.).

ვიტალიმ თამაში დაიწყო ოჩამჩირეში. მისი პირველი მწვრთნელი იყო ბონდო კაკუბავა. 1974 წელს 17 წლისა გამოდის „ამირანის" შემადგენლობაში საქართველოს პირველობაზე და აღწევს მაღალ შედეგს თავდამსხმელის ამპლუაში, 23 მატჩში გააქვს 20 გოლი. 1974 წლის ბოლოს იგი თბილისის „დინამოში" მიიწვიეს და 1975-82 წლებში იცავდა მის ღირსებას. იყო სსრკ-ს ჩემპიონი (1978 წ) და თასის მფლობელი (1976, 79 წ.წ.). 1981 წ. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი, ევროპის 1980 წლის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის და 1976 წლის ჩემპიონი იუნიორებში (სსრკ ნაკრებთან ერთად), სსრკ ჩემპიონატის 3-გზის ბრინჯაოს პრიზიორი და ვერცხლის პრიზიორი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცეჩემპიონი.

სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 192 მატჩი და გაიტანა 26 გოლი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ითამაშა 22 მატჩი (პირველი 1978 წლის 19 ოქტომბერს იაპონიასთან 4-1), ბოლო 1982 წლის 4 ივლისს, ესპანეთში მსოფლიო პირველობაზე პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან (0-0) და გაიტანა 3 გოლი.

1981 წლის 13 მაისის ტრიუმფის შემდეგ მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

*დემიკო ლოლაძე:* „ფეხბურთის გულშემატკივრები არასოდეს დაივიწყებენ ვიტალი დარასელიას, ვისთვისაც რიცხვი „13" მართლაც რომ საბედისწერო გამოდგა. იგი დაქორწინდა 1976 წლის 13 ნოემბერს, მის სახელთანაა დაკავშირებული გამარჯვების მომტანი გოლი 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე", მან ტრაგიკულად დაასრულა თავისი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრება 1982 წლის 13 დეკემბერს.

1978 წლის 27 სექტემბერს, როდესაც თბილისის „დინამო" ნეაპოლში უეფას თასზე ადგილობრივ „ნაპოლის" ხვდებოდა, ვიტალის ვაჟი შეეძინა. მისი სურვილის თანახმად ახლადდაბადებულს გოლის ავტორის სახელი უნდა დარქმეოდა და სწორედ ამ დღეს ერთადერთი ბურთი იტალიელთა კარში თვითონ ახალშობილის მამამ გაიტანა. ვიტალი ვიტალის ძე დარასელია" (წიგნიდან „ვიტალი დარასელია" 1983 წ.)

დღეს 23 წლის უმცროსი ვიტალი დარასელია განაგრძობს დიდი მამის გზას. სიცოცხლე გრძელდება.

2002 წლის 9 იანვარს ვიტალი დარასელიას დაბადებიდან 45 წელი შეუსრულდებოდა.

ვაჟა ჯიაურელი

# ლუიშ ფიგუ



***დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს ლისაბონში. სიმაღლე — 180 სმ, წონა — 75 კგ.***
***გამოდიოდა: „სპორტინგი" (პორტუგალია, 1989-1995), „ბარსელონა" (ესპანეთი, 1995-2000), „რეალი" (ესპანეთი, 2000 — დღემდე ამ გუნდშია).***
***ტიტულები: ესპანეთის ჩემპიონი — 1998, 1999, 2001, ესპანეთის თასის მფლობელი — 1997, 1998, ესპანეთის სუპერთასი — 1998, 2001, პორტუგალიის თასი — 1995, ევროპის თასის მფლობელთა თასი — 1997, ევროპის სუპერთასი — 1998, მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორებს შორის — 1991 წ.***
***პორტუგალიის ნაკრებში ჩაატარა 79 მატჩი და გაიტანა 27 ბურთი.***

„ბარსელონაში" მას ჰქონდა როგორც თანაგუნდელთა და მაყურებელთა, ისე გუნდის ხელმძღვანელობის დაფასება და სიცოცხლის ბოლომდე კონტრაქტი. კაცი იფიქრებდა, რომ ფიგუ არასდროს დატოვებდა „ბარსას", მაგრამ 2000 წელს ის გადადის „ბარსას" „მოსისხლე მტრის" მადრიდის „რეალის" გუნდში. დღეს „რეალში" ის ისეთივე სიმბოლოა, როგორც ფერნანდო იერო და რაული, და ის, რომ „სანტიაგო ბერნაბეუმ" იგი მიიღო, უპირველეს ყოვლისა, მისი ტალანტის აღიარება იყო.



● ***მთლიანობაში როგორი განწყობით აცილებთ ამ წელს?***

— ეს იყო დაძაბული როგორც „რეალისთვის", ისე პორტუგალიის ნაკრებისთვის, რომელმაც 1986 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. გვქონდა როგორც აღმასვლა, ისე დაღმასვლა, მაგრამ ხელები არასოდეს ჩამოგვიშვია.

● ***როცა ერთ გუნდში ამდენი ვარსკვლავია თავმოყრილი, ექაჩება თუ არა საბანს თითოეული თავისკენ?***

— არა, იმიტომ რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს კონკრეტული დავალება და თითოეული გრძნობს პასუხისმგებლობას გუნდის მიმართ.

● ***ფიქრობდით თუ არა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზისათვის ბრძოლაში გაუსწრებდით ბექჰემსა და რაულს?***

— ჩემი ნება რომ იყოს, პირველ ადგილს მივაკუთვნებდი რაულს, რომელსაც განსაკუთრებული რეგულარობით გააქვს გოლები, როგორც ესპანეთის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში. ხოლო „მანჩესტერში", თუ გინდათ სიმართლე, მე უფრო რაიან გიგზი მომწონს.

● ***მსოფლიო აღიარება თქვენამდე ბოლო ორი წელია, რაც მოვიდა, მაგრამ ბევრი თვლის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება შეგეძლოთ უფრო ადრე მიგეღოთ?***

— ყველას თავისი აზრი აქვს. გაიხსენეთ თუ რა ვნებათაღელვა ატყდა, როცა ირჩევდნენ XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელს, პელე თუ მარადონა?

● ***თქვენ ისევ გაქვთ კონტაქტი კატალონურ კლუბთან?***

— რა თქმა უნდა. მე მაისური შევიცვალე და არა მეგობრები. ასეთია პროფესიონალი ფეხბურთელის ხვედრი, რომელსაც საფეხბურთო კარიერის მანძილზე სხვადასხვა გუნდში გამოსვლა უწევს.

● ***დიდი განსხვავებაა „რეალსა" და „ბარსელონას" შორის?***

— არც ისე. ორივე გუნდში ფეხბურთი — როგორც რელიგიაა. როგორც მადრიდში, ისე ბარსელონაში, ყველაფერს აკეთებენ გამარჯვების მისაღწევად, მაგრამ ამ გამარჯვებისკენ ისინი სხვადასხვა გზით მიდიან.

● ***მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ „ბარსა" უპირველეს ყოვლისა, არის მთლიანი კატალონიის გუნდი, ხოლო „რეალი" სრულიად ესპანეთის?***

— არა. როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს მაყურებლები ჰყავს მთელ ესპანეთში.

● ***რა შეიძლება თქვენ მოგცეთ „რეალმა", ბარსელონასაგან" განსხვავებით?***

— ახალი გამარჯვებები.

● ***რატომ არ გაინტერესებთ იტალიის ჩემპიონატი?***

— კალჩო არც ისე სანახაობრივია, როგორც მე მსურს. უპირველეს ყოვლისა, წაუგებლობა, აი, რა არის იტალიის გუნდების ფილოსოფია, მე კი უფრო შეტევა მომწონს.

● ***„ბარსელონამ" თქვენ გიყიდათ 4 მილიონ დოლარად, ხოლო გაგყიდათ 60 მილიონად და ამასთანავე განაცხადა, რომ წავიდა თქვენს მოთხოვნაზე გუნდის გამოცვლის შესახებ?***

— რა თქმა უნდა. მაყურებლები თავს წააცლიდნენ „ბარსას" პრეზიდენტს, თუ ის იტყოდა, რომ სურდა ფულის გაკეთება ფიგუს გაყიდვით. მაგრამ რაც უნდა იყოს, „ბარსამ" ამ გარიგებით გაიუმჯობესა თავისი ფინანსური მდგომარეობა.

● ***შესაძლებელია თუ არა, ოდესმე დაბრუნდეთ კატალონიაში?***

— ეს ნაკლებ მოსალოდნელია იმის ჩათვლით, რაც უკვე მოხდა. ამასთან, ჩემი კონტრაქტი „რეალთან" მთავრდება ხუთი წლის შემდეგ.

● ***„ბარსელონაში" თქვენი მწვრთნელი იყო ჯერ იოჰან კრუიფი, შემდეგ ლუი ვან გაალი, რომელმა მათგანმა მოგცათ უფრო მეტი?***

— ვფიქრობ, კრუიფმა. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით ფეხბურთზე. მისი ხელმძღვანელობით ვარჯიში თავისი დაძაბულობით არ ჩამოუვარდება ოფიციალურ მატჩებს.

● ***თქვენ კიდევ რაზე უნდა იმუშაოთ?***

— უწინარესად მარცხენა ფეხით თამაშზე, თავით თამაშზე და შეტევის დამთავრებაზე.

● ***როგორ მოახერხეთ თქვენი კარიერის მანძილზე არ მიგეღოთ არც ერთი წითელი ბარათი?***

— მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მეთამაშა და არა იმაზე, თუ როგორ შემეშალა ხელი მოწინააღმდეგისთვის.

● ***გახსოვთ თუ არა, თქვენი პირველი შეხვედრა ნაკრებში?***

— რა თქმა უნდა. ეს იყო 1991 წლის ოქტომბერში ლუქსემბურგის წინააღმდეგ.

● ***ევრო-2004 იქნება პირველი დიდი შეჯიბრება, რომელიც ტარდება პორტუგალიაში, რას ელით თქვენ მისგან?***

— ევროპის ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანას მოუტანს არაერთ სარგებელს. განვითარდება ვაჭრობა, ტურიზმი, აშენდება ახალი სტადიონები და ვიმედოვნებ, ევროპის ჩემპიონატი განავითარებს სპორტს ქვეყანაში და, კერძოდ, ფეხბურთს.

● ***არ ფიქრობთ თქვენი სპორტული კარიერის დასრულებას პორტუგალიაში?***

— ცხადია, მინდა დავუბრუნდე ჩემს პირველ გუნდს „სპორტინგს", მაგრამ ჩემი კონტრაქტი „რეალთან" მთავრდება 2005 წელს და, სამწუხაროდ, ამ დროს უკვე ძალიან ხნიერი ვიქნები.

● ***მწვრთნელობა არ გინდათ?***

— არა. ჩემს გეგმებში საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო კარიერა არ შედის.

● ***ბავშვობაში თქვენ დიდ დროს უთმობდით ფეხბურთს?***

— იმდენს, რამდენის საშუალებასაც მაძლევდა სკოლა და მშობლების ნებართვა. მაგრამ მე მსურდა უფრო მეტი მეთამაშა.

● ***გყავდათ თუ არა კერპი?***

— რა თქმა უნდა. მარადონა, ზიკო და პლატინი. საფეხბურთო კარიერის დასაწყისში — შალანა და ფუტრე.

● ***რა არის თქვენი გატაცება, ჰობი?***

— მიყვარს მოგზაურობა, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. გატაცებული ვარ თანამედროვე და დეკორატიული ხელოვნებით. ვაგროვებ საათებს.

● ***ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიყვართ?***

— ჩოგბურთი, „ფორმულა-1" და მოტორბოლა. ვთამაშობ გოლფს.

კონსტანტინ კლეშჩიოვი

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ინგლისი

***ლიდსი — ვესტ ჰემი***
ვიდუკა (4,7), ფაულერი (50)

***ჩარლტონი — იფსვიჩი 3-2***
0-1 ბენტი (1), 0-2 ბენტი (5), 1-2 რობინსონი (16), 2-2 პარკერი (32), 3-2 იუელი (61).

***ჩელსი — საუთჰემპტონი 2-4***
0-1 ბიტი (7), 1-1 გუდიონსენი (20), 2-1 ჰასელბანკი (45), 2-2 პახარსი (55), 2-3 მარსდენი (64), 2-4 ბიტი (73).

***ლივერპული — ბოლტონი 1-1***
1-0 ჯერარდი (50), 1-1 ნოლანი (78)

***მიდლსბრო — ევერტონი 1-0***
ფესტა (50)

***სანდერლენდი — ასტონ ვილა 1-1***
0-1 ტეილორი (59), 1-1 ტომი (86)

***ტოტენჰემი — ბლექბერნი 1-0***
რიჩარდსი (45)

***მანჩესტერი — ბლექბერნი 3-1***
1-0 ვან ნისტელროი (24), 2-0 სქოულზი (50),
3-1 სქოულზი (62), 3-1 შირერი (69).

***დერბი — ფულემი 0-1***
კარბონარი (72 საკ. კარში).

***ლესტერი — არსენალი (გადაიდო)***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 21 | 11 | 8 | 2 | 33-17 | 41 |
| მანჩესტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 51-31 | 39 |
| არსენალი | 20 | 11 | 6 | 3 | 41-24 | 39 |
| ნიუკასლი | 21 | 12 | 3 | 6 | 39-28 | 39 |
| ლივერპული | 20 | 11 | 5 | 4 | 30-20 | 38 |
| ჩელსი | 21 | 8 | 9 | 4 | 33-20 | 38 |
| ტოტენჰემი | 21 | 9 | 4 | 8 | 32-27 | 31 |
| ჩარლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 27-24 | 29 |
| ასტონ ვილა | 21 | 7 | 8 | 6 | 27-26 | 29 |
| ფულემი | 20 | 6 | 9 | 5 | 20-20 | 27 |
| სანდერლენდი | 21 | 7 | 6 | 8 | 18-23 | 27 |
| ვესტ ჰემი | 21 | 6 | 7 | 8 | 25-34 | 25 |
| ევერტონი | 21 | 6 | 5 | 10 | 23-29 | 23 |
| ბოლტონი | 21 | 5 | 8 | 8 | 24-32 | 23 |
| ბლექბერნი | 21 | 5 | 7 | 9 | 25-26 | 22 |
| მიდლსბრო | 20 | 6 | 4 | 10 | 19-28 | 22 |
| საუთჰემპტ. | 20 | 7 | 1 | 12 | 23-33 | 22 |
| დერბი | 21 | 5 | 4 | 12 | 15-36 | 19 |
| იფსვიჩი | 21 | 4 | 6 | 11 | 26-31 | 18 |
| ლესტერი | 20 | 3 | 7 | 10 | 14-36 | 16 |

## შოტლანდია

***აბერდინი — ლივინგსტონი 0-3***
***სელტიკი — მოზერუელი 2-0***
***დანდი — დანფერმლაინი (გადაიდო)***
***ჰიბერნიანი — დანდი იუნ. 0-1***
***სტ. ჯონსტონი — ჰართსი 0-2***
***კილმარნოკი — რეინჯერსი (გადაიდო)***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 22 | 20 | 1 | 1 | 53-11 | 61 |
| რეინჯერსი | 22 | 14 | 6 | 2 | 49-17 | 48 |
| ლივინგსტ. | 22 | 11 | 7 | 4 | 33-17 | 40 |
| აბერდინი | 22 | 10 | 3 | 9 | 31-32 | 33 |
| ჰართსი | 23 | 9 | 4 | 10 | 31-28 | 31 |
| კილმარნოკი | 22 | 9 | 4 | 9 | 23-24 | 31 |
| დანფერმლ. | 22 | 7 | 4 | 11 | 24-37 | 25 |
| დანდი იუნ. | 23 | 6 | 7 | 10 | 23-41 | 25 |
| დანდი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-30 | 23 |
| ჰიბერნიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 27-35 | 22 |
| მოზერუელი | 22 | 4 | 6 | 12 | 25-43 | 8 |
| სტ. ჯონსტ. | 23 | 3 | 4 | 16 | 15-39 | 13 |

## იუმორი



ფეხბურთელი მწვრთნელს: გავიხადო? — გეიხადე, — ვივარჯიშო? — აუცილებლად. — ვითამაშებ? — არავიათრ შემთხვევაში!

* * *

ბასახდელში ფეხბურთელები მწვრთნელს დაბადების დღეს ულოცავენ.
— გმადლობთ, ბიჭებო! ყველაზე კარგი საჩუქარი ჩემთვის თქვენი გამარჯვება იქნება.
— გვიანია, ლევანოვიჩ, ჩვენ უკვე ჰალსტუხი გიყიდეთ!!!

* * *

ფეხბურთელი თანაგუნდელებს ეუბნება: მე ვიცი, როგორ გავაძლიეროთ გუნდის შეტევა.
— შენ რა, გუნდიდან მიდიხარ?



* * *

ორი გულშემატკივარი საუბრობს: ჩვენი გუნდის თამაშებს ყველაზე ნაკლები მაყურებელი ესწრება — ამბობს ერთი მათგანი. ეგ რბილად ნათქვამია, მე მეტს გეტყვი — შეეპასუხა მეორე. გუშინ სტადიონის სალაროში დავრეკე და ვიკითხე თუ როდის იწყება მატჩი. „როცა თქვენ გნებავთ" — მივიღე პასუხად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა ფეხბურთი

## საშობაო ტურნირი

ქ. თბილისის განათლების განყოფილების მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ნორჩ ფეხბურთელთა საშობაო ტურნირი მინიფეხბურთში, ეროვნული კატეგორიის არბიტრის შალვა ბერიძის ხსოვნის პრიზზე, ორ ასაკობრივ ჯგუფში (1990-91; 1992-93 წ.წ.). ტურნირში მონაწილეობდა 200-მდე ნორჩი ფეხბურთელი. უფროსი ასაკის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „თბილისი 2000"-I (მწვრთნელები თ. მონასელიძე და ს. პოზოიანი) და „სიონი" (მწვრთნელი კ. ინაძე). გაიმარჯვა „თბილისი 2000"-ის გუნდმა. მესამე ადგილზე გავიდა „არეალი" (მწვრთნელები ზ. ჩახავა, პ. კირთაძე).

უმცროს ასაკში პირველობა არავის დაუთმო „XXI საუკუნემ" (მწვრთნელი გ. ბუაძე), მეორე იყო „თბილისი 2000" (მწვრთნელები ი. ანჩაბაძე, თ. კიკაჩეიშვილი), მესამე — „არეალი" (მწვრთნელები ზ. ჩახავა, პ. კირთაძე).

ქ. თბილისის განათლების განყოფილების №8 ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ბ. მაჩაბლიშვილი) დააწესა ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის, ეროვნული კატეგორიის მსაჯის შალვა ბერიძის ხსოვნის პრიზი — სუპერთასი. ერთმანეთს შეხვდნენ „თბილისი 2000"-I და „XXI საუკუნე". უშედავათო ბრძოლაში გაიმარჯვა „თბილისი-2000"-ის გუნდმა 5-4.

ტურნირი ჩატარდა ქ. თბილისის განათლების განყოფილების (უფროსი ე. მაჩაიძე) ინიციატივითა და ხელშეწყობით, ორგანიზაციულად უძღვებოდა განათლების განყოფილების სპორტის სექტორის უფროსი მიხეილ ფილიევი. ტურნირს ემსახურებოდა ეროვნული კატეგორიის არბიტრი ელიზბარ სულთანიშვილი.



*„XXI საუკუნე" (ნ. ახალკაცის სახელობის სპორტსკოლა. 1991-92 წლიანები. მარცხნიდან – I რიგში: შოთა მაძღარაშვილი, თამაზ მჭედლიშვილი, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი შელია, გიორგი ჭაბუკიანი, თამაზ მანოშვილი, ბექა იმნაძე, გიორგი ლაბაძე, ლაშა სხირტლაძე, მერაბ კაპანაძე; II რიგში: ზაზა კახიძე, აკაკი შეყილაძე, ლევან დემეტრაშვილი, ანრი გოგინაშვილი, გიორგი ქურდაძე, გიორგი ფრანგიშვილი, ვიტალი ხუდოიანი, ირაკლი ბერიძე, ბატა უგრეხელიძე, თორნიკე გიორგაძე, იმედო უგრეხელიძე, მწვრთნელები – გიორგი ბუაძე და გივი ბუაძე).*



*„თბილისი 2000"-I. მარცხნიდან. I რიგში: თ. მიქელაძე, ს. სამხარაძე, ლ. გოგაშვილი, დ. ხარატიშვილი, ს. ვაჩეიშვილი, ლ. ქაფიანიძე, ა. პოზოიანი, ლ. ავაზაშვილი, დ. სიმონიშვილი, ბ. ელისაშვილი, ზ. ჭრიკიშვილი; II რიგში: ს. პოზოიანი (მწვრთნელი), ლ. გოგაშვილი, დ. ფიფია, თ. გოგოლაძე, ზ. თამლიანი, ვ. კოპალეიშვილი, რ. ნერსესიანი, ბ. კუპრაშვილი, ი. ბერიაშვილი, თ. მონასელიძე (მწვრთნელი); III რიგში: გ. გოგავა, ბ. გელაშვილი, ნ. სინჯიაშვილი, რ. ჟღენტი, ა. მარშანია, ვ. ისაკაძე, კ. კახიძე, გ. შანშიაშვილი.*



*1992-93 წლიანებში მეორე ადგილზე გასული „სიონი" (მწვრთნელი კობა ინაძე).*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*

## სპორტის და ხელოვნების სკოლა

ეს უნიკალური სკოლა თბილისში ამ სამი წლის წინათ გაიხსნა (დირექტორი ზურაბ კანდელაკი) ისანი-სამგორის რაიონში. მისი სახელია „ედელვაისი". სკოლაში ნორჩები ხელოვნებასაც ეუფლებიან – შექმნილია ბავშვთა ანსამბლი „პატარა ვირტუოზები", რომლებიც სისტემატურად ალამაზებენ თავიანთი გამოსვლებით სხვადასხვა შეჯიბრებებს. ასე იყო ამჯერადაც. თავის სტადიონზე სკოლამ ჩაატარა საშობაო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიაც მონაწილეობდნენ ბავშვთა საფეხბურთო გუნდები „ბერმუხა", „ორბი", „ედელვაისი", „შევარდენი", „ვაკო", „გურნიკი", „ირაო", „ვაზისუბანი", „ლომები". ასპარეზობა პარალელურად მიმდინარეობდა 1988 და 1989 წლიანთა შორის.

1989 წელს დაბადებულთაგან ნახევარფინალში „შევარდენმა" აჯობა „ვაკოს", ხოლო „ლომებმა" – ვაზისუბანს. ფინალში კი „ლომებმა" სძლიეს „შევარდენს" 2-0. (გამარჯვებულთა მწვრთნელია ზურაბ ურდულაშვილი). საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადაეცა თ. ლავრენტოვს („ლომები"), საუკეთესო მეკარის – ს. ბრეგვაძეს („შევარდენი").

1988 წელს დაბადებულთა შორის პირველობა მოიპოვა „ბერმუხამ" (მწვრთნელი თამაზ გურასპიშვილი). საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა გ. ტუხაშვილი („ბერმუხა"). ტურნირის მაღალ დონეზე და საინტერესოდ ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა (უფროსი დავით ჭელიძე), აგრეთვე ისან-სამგორის საფეხბურთო კავშირმა (თავმჯდომარე თამაზ გურასპიშვილი).

დაჯილდოების ცერემონიალი „პატარა ვირტუოზე ის" (ხელმძღვანელი ინგა ურუშაძე, ქორეოგრაფი – ნი ო მეზვრიშვილი, კომპოზიტორი ლი ორაგველიძე) კონცერტმა დაამშვენა.



«ბერმუხა»



«შევარდენი»



«ლომები»



რობერტ ბაგოიანის ფოტოები

«პატარა ვირტუოზები»

# რუსეთის სპორტის ლაურეატები



ნიგმატულინი

***წლის ბოლოს რუსეთში დასახელდა საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდები სხვადასხვა ნომინაციაში.***

I. რუსეთის ***საუკეთესო სპორტსმენად*** დასახელებულია ***რუსლან ნიგმატულინი*** (ფეხბურთი) — 243 ქულა; მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ***რომან სლუდნოვი*** (ცურვა) — 207 ქულა; ***კონსტანტინ ცზიუ*** (კრივი) — 168; ***სვეტლანა ხორკინა*** (სპორტული ტანვარჯიში) — 135; ***ოლგა ეგოროვა*** (მძლეოსნობა) — 126.

II. წლის საუკეთესო ***გუნდად*** დაასახელეს ***რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები***, მომდევნო ადგილზე გავიდა ***ქალთა ნაკრები ხელბურთში***, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

III. ნომინაციაში წლის ***აღმოჩენად*** აღიარეს „ლოკომოტივის" ფეხბურთელი ***მარატ იზმაილოვი*** — 55 ქულა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ***ალექსანდრა კონსენიუკი*** (ჭადრაკი) — 11 ქულა და ***ვლადიმირ სმორჩკოვი*** (ძალოსნობა) — 9 ქულა.

IV. ***წლის მწვრთნელად*** დაასახელეს რუსეთის ქალ ხელბურთელთა მთავარი მწვრთნელი ***ევგენი ტრეფილოვი*** — 20 ქულა, მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის „სპარტაკისა" და რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ***ოლეგ რომანცევი*** — 17 ქულა, მესამეზე — ***ირინა ვინერი***, რომელიც რუსეთის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელია — 15 ქულა.

V. წლის ***„გაწბილებად"*** მიჩნეულ იქნა ***მოსკოვის „სპარტაკის"*** ფეხბურთელთა გუნდის გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში.

# რჩეულნი არაოლიმპიურ სახეობებში

**საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტმა შეაჯამა 2001 წლის შედეგები სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში.**

წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსინგში ***ელენე ბოლაშვილი.*** წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ***კლოდ სორელი,*** საუკეთესო მსაჯად — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სამბოში ***ემილ რაში,*** წლის საუკეთესო გუნდად — მორაგბეთა ეროვნული ნაკრები. მეორეა — კარატე დოს ეროვნული ნაკრები, მესამე — კიკბოქსინგის და ტაიბოქსის ეროვნული ნაკრები.

წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის დასახელებულნი არიან აგრეთვე (ანბანის მიხედვით): შალვა ავთანდილაშვილი (კიკბოქსინგი), ალექსი დავითაშვილი (ქართული ჭიდაობა), ია კვირიკაშვილი — დავით კულუმბეგაშვილი (სპორტული ცეკვები), ლევან ებანოიძე (სუმო), თემურ მუხიაშვილი (კიკბოქსინგი), რამაზ სახვაძე (კარატე დო), ილო ჯამრიშვილი (ჯიუ ჩიცუ), ანტონ ჯლამაძე (შოტოკან კარატე), ავთანდილ ხურციძე (კიკბოქსინგი).

***მწვრთნელებიდან:*** ლარისა გაჩეჩილაძე (სპორტული ცეკვები), გივი ზაუტაშვილი (სამბო), ზურაბ ლეჟავა (შოტოკან კარატე), ნუკრი მჭედლიშვილი (ხრიდოლი), ანზორ ჩუბინიძე (კიო კუშინ კაი კარატე), თამაზ ჩხარტიშვილი (სუმო), გოჩა ჯავახია, თამაზ ყარაგვეზაშვილი (ორივე — კიკბოქსინგი), ვახტანგ ხარხელაური (ჯიუ ჯიცუ), ბესიკ ხუციშვილი (კარატე დო).

***მსაჯებიდან:*** არჩილ აბაშიშვილი, სლავა გალიაროვი (ორივე — კიკბოქსინგი), თენგიზ გაჩეჩილაძე (სპორტული ცეკვები), თამაზ გორელიშვილი (კარატე დო), ირაკლი დოლაბერიძე (კიო კუშინ კაი), შოთა ზუკაკიშვილი (ქართული ჭიდაობა), ანზორ მარტყოფლიშვილი (სამბო), ზურაბ ჩიტრეკაშვილი (კიკბოქსინგი). გელა პავლიაშვილი (შოტოკან კარატე), თამაზ ჯანგირაშვილი (ჯიუ ჯიცუ).

## კვიმატი ობიექტივი



## 2002 — ცხენის წელიწადი!



# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**4 იანვარი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია, ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40), ***EUROSPORT***. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.00, 14.30, 20.00, 23.00, 2.15), ფეხბურთი. საუკუნის მატჩები (22.30), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ფეხბურთი (13.20), იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი (13.55, 15.55, 17.55, 20.20, 0.15), მინიფეხბურთი. გასული წლის ფინალური მატჩები. ჩემპიონთა ლიგა (22.50), ***НТВ плюс спорт***. ნბა-ს მიმოხილვა (11.45), ტაილანდური კრივი (16.10), ციგურებით სწრაფრბენა. ევროპის ჩემპიონატი (17.55).

**5 იანვარი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.40), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***EUROSPORT***. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.45, 15.15, 18.30, 20.00, 23.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი. (13.55, 15.55, 17.55, 19.55), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.25), იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი (21.25), იტალიის, ან ესპანეთის ჩემპიონატი (23.25). ***НТВ плюс спорт***. ნბა-ს ჩემპიონატი (11.45), საციგურაო სპორტი. ევროპის ჩემპიონატი (15.55), „დიდი რინგი" (19.30), ორთაბრძოლები და ვერსიები. მსოფლიო ჩემპიონატი (1.15).

**6 იანვარი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფოლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხი,*** ევროპის სტადიონებზე (16.20), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 12.30, 14.15, 15.00, 17.00, 18.00, 23.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი (13.55, 15.55, 17.55, 19.55), ჰოლანდიის (21.50), იტალიის (23.30), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** ციგურებით სწრაფრბენა. ევროპის ჩემპიონატი (14.55), ძიუდო. „რუსეთის პრეზიდენტის თასი" (18.30), სოლტლეიკ- სიტის გზით (23.00), ორთაბრძოლები DRAKA-ს ვერსიით. მსოფლიო ჩემპიონატი (23.45).

**საქართველოს ბეისბოლის და სოფთბოლის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი**

**არჩილ კობალაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური სამძიმარს უცხადებს ამავე სამსახურის სპორტული განყოფილების უფროსს ლევან რაზმაძეს ბებიის**

**ვერა ებრალიძე-ბოკერიას**

**გარდაცვალების გამო.**

პანაშვილი 4, 5 I 16 საათზე.
გამოსვენება 6.1. 14 საათზე.
მისამართი ქობულეთის 3/15.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



**შამათი 3 სვლაში**

განვლილი წლის 28 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. კ:e3!
1. ...მფd5 2. ლd3+ მფc6 3. ლd7X.
1. ...მფf5 2. ლf3+ მფg6 3. ლf7X.



## კროსვორდი №1

**თარაზულად:** 8. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 9. ხელბურთში 2001 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, 10. საჩოგბურთო მოედანი, 12. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი (თამაშობდა 1979 წელს), 14. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა, 15. ფრანგი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი, 17. უმოტორო საფრენი აპარატი, 18. საჭადრაკო ფიგურა, 19. წყალზე უსაფრთხოების დამცველი, 20. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 21. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 22. საახალწლოდ მოსართავი მცენარე, 23. გაფრთხილება ძიუდოში.

**შვეულად:** 1. ინგლისელი ფეხბურთელი, 2. მძლეოსანთა სატყორცნი იარაღი, 3. მიწის საზომი ერთეული ინგლისში, 4. ნორვეგიელი ფეხბურთელი ტორე ანდრე.... 5. ტაშკენტის „პახტაკორის" ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელი, 6. სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ქართველი ფალავანი, 7. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ფალავანი, 11. გერმანელი ვეტერანი ფეხბურთელი, 13. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი-მეკარე, 16. მეხიკოს ცნობილი სტადიონი.

**განვლილი წლის №102-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. ფრე, 4. ტანდემი, 7. ოლიმპიადა, 8. ისა, 9. ფიგუ, 10. როა, 12. კოლოსკოვი, 13. ვეა, 17. ჩანგი, 18. რუბენისი, 19. იტო, 20. ნეიძე, 21. სო. **შვეულად:** 1. ფლო, 2. ელინგი, 3. ტაპი, 5. არდილესი, 6. მოსკოვი, 9. ფორვარდი, 11. ნოკაუტი, 14 ძიუდო, 15. ენეი, 16. ასპე.

**«ლელოს» შემდეგი ნომერი გამოვა 11 იანვარს**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.